პროგრამა ეზ-ფრისკის ლიცენზია
საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის

№ 1289/06

30 დეკემბერი 15 წ.

1. შეთანხმების მხარეები.

ეს საბოლოო მომხმარებლის სალიცენზიო შეთანხმება (EULA ანუ „შეთანხმება") დადეს ერთის მხრივ ფუგრო კონსულტანტ ინს. (Fugro Consultants, Inc.), რომელიც მდებარეობს მისამართზე – 1777 ბოტელდო დრაივ, შუიტე 262, ვოლტანტ გრიფ, კალიფორნია, ა.შ.შ („მფლობელი") და ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელიც მდებარეობს ჭავჭავაძის გამზ. 1, 01128, თბილისი, საქართველო (შემდგომში „ლიცენზიატი"). მხარეები ორმხრივად თანხმდებიან შემდეგზე: ლიცენზიის მფლობელი აცხადებს, რომ იგი დაქირავებულია საგანმანათლებლო/სამთავრობო დაწესებულების მიერ.

2. პროგრამა და დოკუმენტაცია; ლიცენზიის გრანტი.

ეს შეთანხმება მოიცავს ინტერაქტიულ კომპიუტერულ პროგრამა ez-frisks („პროგრამა"), მის ყველა ვერსიას, მოდულს, მომხმარებლის სახელსა და კოდს, რომლებიც აუცილებელია გამოყენების იდენტიფიკაციისა და ავტორიზაციისათვის, მის თანმხლებ მონაცემთა ბაზებისათვის და ყველა დოკუმენტაციისათვის. ez-frisks არის კორპორაცია რისკ ინჯინეერინგის დარეგისტრირებული სავაჭრო მარკა. ეს დოკუმენტაცია ასევე ეხება მომხმარებლის სახელმძღვანელოს, რომელიც თან ახლავს პროგრამას და „დამხმარე"(help) ფაილებს (დაინსტალირებული როგორც .hlf და .cnt გაფართოებული ფაილები) და წარმოდგენილია პროგრამის დამხმარე სისტემის სახით, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციას პროგრამის ოპერირებისათვის. წლიური სალიცენზიო გადასახადის გადახდის შემდეგ (იხ. სექცია 7) მფლობელი გადასცემს ლიცენზიატს არაექსკლუზიურ, არაგადაცემად ლიცენზიას („ლიცენზია") დოკუმენტაციისა და პროგრამის გამოსაყენებლად საგანმანათლებლო ან მთავრობის მიერ დაფინანსებული საკვლევი მიზნებისათვის, რომლებიც ექვემდებარება ამ შეთანხმების ვადებსა და პირობებს.

3. გამოყენების ვადა

<u>ლიცენზია ძალაშია 2016 წლის 10 მარტიდან (ეფექტური დღე) ერთი წლის განმავლობაში. ლიცენზია ძალაში შედის და გამოყენებადია ერთი წლის მანძილზე ეფექტური დღიდან (ეს არის „გამოყენების ვადა") . თუ მანამდე არ შეწყდა რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად.</u> ეს შეთანხმება ძალაში რჩება ლიცენზიის ვადის გასვლამდე, ხოლო სექციები 6, 12, 13, 14, 15, 20, 22, 23, 24 და 26 იმოქმედებს ამ შეთანხმების შეწყვეტის შემდგომ პერიოდშიც. მფლობელსა და ლიცენზიატს, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, შეუძლიათ გაახანგრძლივონ გამოყენების ვადა დამატებით ერთი წლით. იმ შემთხვევაში თუ სალიცენზიო შეთანხმება არ გახანგრძლივდა გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ, ლიცენზიატი ვალდებულია მოახდინოს პროგრამის დეინსტალაცია ყველა კომპიუტერიდან, სადაც ის იყო ჩატვირთული. ამ შემთხვევაში მფლობელი გააუქმებს ლიცენზიატის სააბონენტო ანგარიშს თავის ინტერნეტ სერვერზე და შეუწყვეტს მას პროგრამის გამოყენების უფლებას.

4. ლიცენზიის გაუქმება

ლიცენზიატს უფლება აქვს ნებისმიერ დროს წერილობით აცნობოს მფლობელს ლიცენზიის გაუქმების შესახებ დადგენილი წესების თანახმად. ლიცენზიატის ან მფლობელის მიერ ამ შეთანხმების გაუქმების შემთხვევაში, ლიცენზიატი ვალდებულია დაუბრუნოს მფლობელს ყველა კომპაქტ დისკი, რომლებზეც ინახება პროგრამა და დოკუმენტაცია და მოახდინოს პროგრამის დეინსტალაცია ყველა კომპიუტერიდან, სადაც ის იყო ჩატვირთული. გაუქმება ძალაში შევა მაშინვე, როგორც კი მფლობელს ეცნობება ამის შესახებ და მიიღებს პროგრამისა და დოკუმენტაციის მისგან მიწოდებულ ნებისმიერ ასლს.

იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიატი შეწყვეტს შეთანხმებას „მიღების პერიოდის" გასვლის შემდეგ, რომელიც აღწერილია ამ დოკუმენტის მე-14 სექციაში, მფლობელისთვის გადახდილი გადასახადი დაბრუნებას არ ექვემდებარება.

მფლობელს უფლება აქვს ლიცენზია გაუუქმოს ლიცენზიატს წერილობითი განცხადების გადაცემიდან ათი (10) დღის განმავლობაში, თუ ა) ლიცენზიატი, მისი წარმომადგენლები, აგენტები, ან თანამშრომლები დაარღვევენ ამ შეთანხმების რომელიმე დებულებას, ბ) ლიცენზიატი შეწყვეტს ან გააჭიანურებს თავის საქმიანობას, ან გ) ლიცენზიატი დაექვემდებარება გაბანკროტებას, ან დაექვემდებარება სამეურვეო, საგადასახადო, ან მსგავს ორგანოთა კონტროლს, ან დ) ლიცენზიატი არ გადაიხდის წლიურ გადასახადს დროულად, როგორც ამ შეთანხმებით არის დადგენილი.

5. სახელწოდება

პროგრამისა და დოკუმენტაციის სახელწოდება და მფლობელობა ეკუთვნის მფლობელს, ისინი არ გადაეცემა ლიცენზიატს. ლიცენზიატს მხოლოდ ის უფლებები აქვს პროგრამის ოპერირებასა და დოკუმენტაციის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლებიც აღწერილია ამ შეთანხმებაში. ლიცენზიატს ეკრძალება ყველა სხვა ქმედება პროგრამასა და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით.

6. მფლობელის მესაკუთრის უფლებების დაცვა

ლიცენზიატი ითვალისწინებს, რომ ეს პროგრამა და დოკუმენტაცია დაცულია აშშ-სა და საერთაშორისო საავტორო უფლების კანონებით, და ის პასუხისმგებელია ამ კანონების დარღვევაზე, თუ ის არ დაიცავს მფლობელის უფლებებს. (განმარტებისთვის, მფლობელი მიიჩნევს, რომ „მფლობელის უფლებების დაცვა" გულისხმობს, რომ ლიცენზიატი იღებს პასუხისმგებლობას პროგრამის, დოკუმენტაციის, მომხმარებლის სახელისა და კოდის (რომლებიც აუცილებელია პროგრამის ოპერირებისათვის) უსაფრთხოების დაცვაზე. ლიცენზიატის მიერ დანიშნული წარმომადგენელი არ გაავრცელებს პროგრამას, დოკუმენტაციას, მომხმარებლის სახელებსა და კოდებს.) ლიცენზიატი თანახმაა გაუფრთხილდეს და დაიცვას მის მფლობელობაში არსებული პროგრამისა და დოკუმენტაციის ყველა ორიგინალი ვერსია და ასლი მფლობელის უფლებების დაცვის თანახმად, ასევე მიიღოს შესაბამისი ზომები მითითებებით, ან შეთანხმებით იმ თანამშრომლებთან, ან სხვა პირებთან, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ პროგრამაზე, დოკუმენტაციაზე, მომხმარებლის სახელებსა და კოდებზე. ლიცენზიატი თანახმაა მფლობელის წერილობითი თანხმობის გარეშე არ მიაწოდოს პროგრამა, დოკუმენტაცია, მომხმარებლის სახელები და კოდები არანაირი ფორმით სხვა პირებს ან

სუბკონტრაქტორებს თავისი თანამშრომლებისა და წარმომადგენლების გარდა. ლიცენზიატი ასევე თანხმდება, რომ ეს პროგრამა არის კომერციული საიდუმლო და წარმოადგენს მფლობელის ექსკლუზიურ საკუთრებას. ლიცენზიატს არ აქვს უფლება მფლობელის წერილობითი თანხმობის გარეშე გაყიდოს, გააქირაოს, გააჩუქოს, ან სხვაგვარად გადასცეს პროგრამა, დოკუმენტაცია, მომხმარებლის სახელები და კოდები მესამე პირს (სუბკონტრაქტორის ჩათვლით, რომელიც ასრულებს სამუშაოს ლიცენზიატისთვის). ლიცენზიატმა უნდა გამოიყენოს შესაბამისი დამცავი ზომები იმისათვის, რომ პროგრამის არაავტორიზებული ასლები არ გასცდეს მისი კონტროლის ფარგლებს. ამ დებულების დარღვევა გახდება მფლობელის მიერ ამ შეთანხმების შეწყვეტის საფუძველი, როგორც ეს აღწერილია ლიცენზიის გაუქმების პუნქტში.

იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის, მომხმარებლის სახელების, კოდების, ან დოკუმენტაციის უსაფრთხოება დადგება რისკის ქვეშ, ლიცენზიატმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მფლობელს იმისათვის, რომ მიღებულ იქნას უსაფრთხოების ახალი ზომები. მფლობელმა, შესაძლოა, დროდადრო მოსთხოვოს ლიცენზიატს კოდების შეცვლა, რაც დაკავშირებულია პროგრამის გამოყენების ავტორიზაციასთან.

7. გადახდის ვადები და პირობები

ამ შეთანხმების პირობების გათვალისწინებით ლიცენზიატმა უნდა გადაუხადოს მფლობელს თანხა, რომელიც მითითებულია სარეგისტრაციო პროცესის დროს („წლიური სალიცენზიო საფასური") და არსებობის შემთხვევაში მოქმედი ყიდვა-გაყიდვის, მოხმარების და სააქციზო გადასახადები, რომლებიც იქნება პროგრამის მოხმარების საფასური მხოლოდ იმ ადგილებზე, როგორც ეს მითითებულია ქვემოთ, „ავტორიზებული გამოყენების" პუნქტში. წლიური სალიცენზიო საფასური შემდგომში უნდა იქნეს გადახდილი ყოველწლიურად, თუ შეთანხმების პერიოდი გახანგრძლივდა მე-3 პუნქტის თანახმად. შესაბამისი გადახდები გაგრძელდება შეთანხმების შეწყვეტამდე, როგორც ეს აღწერილია პუნქტში „ხელშეკრულების შეწყვეტა".

მფლობელს უფლება აქვს გაზარდოს ან შეამციროს წლიური სალიცენზიო საფასური შემდგომ წელიწადზე შეზღუდვის გარეშე. ლიცენზიის განახლების შემთხვევაში ფასები მოქმედებს მხოლოდ ერთი წლის მანძილზე.

8. პროგრამისა და დოკუმენტაციის მიწოდება

მფლობელი ვალდებულია ლიცენზიატს მიაწოდოს პროგრამა კომპაქტ დისკზე (CD) ჩაწერილი, ან უფლება მისცეს მას ჩამოტვირთოს პროგრამა ინტერნეტის საშუალებით, თუ ის აკმაყოფილებს „ვადებისა და პირობების" პუნქტის დებულებებს. პროგრამა საჭიროებს ინტერნეტთან კავშირის დამყარებას გამოყენების ავტორიზაციისა და იდენტიფიკაციისადვის. ინტერნეტთან დაკავშირება უნდა მოხდეს პროგრამის ოპერირების დროს. პროგრამას შეიძლება ახლდეს, ან არ ახლდეს დოკუმენტაცია ბეჭდურ ფორმაში. დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს ინსტრუქციას პროგრამის დაინსტალირების შესახებ. ლიცენზიატი იღებს სრულ პასუხისმგებლობას პროგრამულ უზრუნველყოფაზე, გარდა ამ შეთანხმებაში მითითებული უზრუნველყოფისა, რომელიც ევალება მფლობელს.

9. ინსტალაციის ნებადართული ადგილები

ლიცენზიატს შეუძლია დააინსტალიროს პროგრამა ერთ კომპიუტერზე იმ ადგილზე, რომელიც ეკუთვნის ან დაქირავებული აქვს მას. თუ ლიცენზიატს სურვილი აქვს დააინსტალოროს პროგრამა დამატებით კომპიუტერებზე „გამოყენების ვადის" პუნქტის თანახმად, ის უნდა დაუკავშირდეს მფლობელს ავტორიზაციისთვის და შეიძლება დაეკისროს დამატებითი საფასურის გადახდა.

10. პროგრამის ავტორიზებული გამოყენება

ლიცენზიატს შეუძლია გამოიყენოს პროგრამა **საქართველოს ტერიტორიების გამოსაკვლევად მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისათვის ან მთავრობის მიერ დაფინანსებული კვლევებისათვის. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის საერთაშორისო საგრანტო NATO G4934-ს პროექტი „საქართველოში ენგურის ჰიდროელექტროსადგურის უსაფრთხოება გეოსაშიშროებისაგან" დაფინანსებით** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 მუხლის „ი" ქვეპუნქტით (**CPV 46614000**). პროგრამის გამოყენება არ შეიძლება კომერციული მომსახურების სახით მესამე პირის, კომპანიის ან სხვა ორგანიზაციისათვის. **იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის კალკულაციების შედეგები გამოქვეყნდება ნებისმიერი ფორმით, ლიცენზიატმა უნდა მიუთითოს პროგრამის სახელი და მფლობელი, როგორც კალკულაციის საშუალება.**

11. სახელების გამოყენება

ლიცენზიატის საჭიროება პროგრამისა და მფლობელის იდენტიფიკაციის თაობაზე აღწერილია მე-10 პუნქტში. ლიცენზიატს შეუძლია გაუმხილოს პროგრამისა და მფლობელის სახელები მესამე პირს, თუ ის ფიქრობს, რომ ამის საჭიროება არსებობს მისი საქმიანობის ნორმალური მსვლელობისათვის. მფლობელს არ შეუძლია სარეკლამოდ ან საჯაროდ გამოიყენოს ან იდენტიფიცირება მოახდინოს ეს-ფრისკის პროგრამის ლიცენზიატის სახელისა, თუ მას არ გააჩნია ლიცენზიატის წერილობითი თანხმობა. მფლობელს უფლება აქვს გამოიყენოს ეს-ფრისკის პროგრამის ლიცენზიატის სახელი, თუ ეს აუცილებელია მისი საქმიანობის ნორმალური მსვლელობისათვის. მფლობელის ან ლიცენზიატის სახელების გამოყენება ან გადაცემა ყველა სხვა შემთხვევაში დაუშვებელია ამ შეთანხმების თანახმად. პროგრამისა და მფლობელის სახელის გამოყენება აკრძალულია ა.შ.შ.-ს ფასიანი ქაღალდებისა და სავალუტო ოპერაციების საკომისიო სერვისებთან დაკავშირებით.

12. მფლობელის საკუთრების გარანტია და დარღვევების აღმოფხვრა

მფლობელი სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ის არის პროგრამისა და დოკუმენტაციის ერთადერთი მფლობელი და გააჩნია სრული უფლება გაასხვისოს აქ ჩამოთვლილი უფლებები რომელიმე სხვა მხარის თანხმობის გარეშე, და არც პროგრამის და არც დოკუმენტაციის სახით არ ხდება და არც მომავალში მოხდება მესამე მხარის უფლების დარღვევა რომელიმე პატენტთან, საავტორო უფლებასთან, კომერციული საიდუმლოსთან, ან სხვა საკუთრებასთან დაკავშირებით. მფლობელი თანახმაა ააცილოს ლიცენზიატს ნებისმიერი სახის პრეტენზია, პასუხისმგებლობა, დანაკარგი, ხარჯი (მათ შორის ადვოკატისათვის განკუთვნილი გონივრული

საფასური), ჯარიმა, გადასახადი ან დანაკარგის ანაზღაურება (კოლექტიურად - „პასუხისმგებლობები"), რომლებიც ლიცენზიატს დაეკისრება მესამე მხარის მიერ იმ შემთხვევაში, თუ ეს პასუხისმგებლობები აღმოცენდება პროგრამის და/ან დოკუმეტაციის მიერ მესამე მხარის კომერციული სიდუმლოს, კომერციული მარკის, საავტორო უფლების, პატენტის ან სხვა საკუთრების უფლების დარღვევასთან დაკავშირებით; იმის გათვალისწინებით, რომ ლიცენზიატი (i) დროულად აცნობებს მფლობელს წერილობით მესამე მხარის პრეტენზიის მიზეზის შესახებ დანაკარგის ანაზღაურების თაობაზე, (ii) მისცემს მფლობელს უფლებას გააკონტროლოს და განაგოს პასუხისმგებლობის საწინააღმდეგოდ მოსამზადებელი, თავდასაცავი და მოსაგვარებელი საკითხები, და (iii) სრულად ითანამშრომლებს მფლობელთან პასუხისმგებლობისაგან თავის დაცვის მიზნით.

13. პროგრამისა და დოკუმენტაციის რეპროდუქციის უფლება

ლიცენზიატს უფლება აქვს დააინსტალიროს პროგრამა მე-9 პუნქტის თანახმად: ინსტალაციის ნებადართულ ადგილებში. არ შეიძლება ასლების გადაცემა სუბკონტრაქტორის ან რომელიმე მესამე მხარისათვის. ეს ასლები უნდა მოიცავდეს პროგრამის იმ ნაწილს, სადაც წარმოჩენილია მფლობელის საავტორო უფლების შესახებ განაცხადი. სხვა სახის ასლები ამ ხელშეკრულების თანახმად არ არის დაშვებული. ამ ხელშეკრულების თანახმად ლიცენზიატს არ აქვს უფლება ამოკრიბოს ინფორმაცია პროგრამის შესახებ, დაანაწევროს და გააანალიზოს ის, ან სხვაგვარად მოიპოვოს მისი საწყისი კოდი. ლიცენზიატს არ აქვს უფლება შექმნას დოკუმენტაციის ასლები; იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიატს ესაჭიროება დოკუმენტაციის ასლები, მფლობელი უზრუნველყოფს ლიცენზიატის მოთხოვნას მისი მოთხოვნის შესაბამისად რეპროდუქციის და ადგილზე მიტანის ნომინალური საფასურის გადახდის შემდეგ.

14. მიღების პერიოდი

ლიცენზიატს გააჩნია ათ დღიანი პერიოდი („მიღების პერიოდი") დოკუმენტაციისა და პროგრამის მიღებისა და დაინსტალირების დღიდან პროგრამის ტესტირებისა და შეფასებისათვის. თუ რაიმე მიზეზის გამო ლიცენზიატი უკმაყოფილოა პროგრამის ოპერირების ან მისი ტექნიკური პირობების გამო, მან წერილობით უნდა აცნობოს მფლობელს „მიღების პერიოდის" განმავლობაში, რომ პროგრამა მისთვის მიუღებელია. ასეთ შემთხვევაში ლიცენზიატმა უნდა დაუბრუნოს პროგრამა და დოკუმენტაცია მფლობელს ორიგინალი სახით. „მიღების პერიოდის" გასვლის შემდეგ პროგრამისა და/ან დოკუმენტაციის დარჩენა ლიცენზიატის მფლობელობაში ნიშნავს ლიცენზიატის მიერ პროგრამის მიღებას. თუ ლიცენზიატი არ მიიღებს პროგრამას, ლიცენზია უნდა გაბათილდეს და ორივე მხარის მიერ ჩაითვალოს ანულირებულად მე-4 პუნქტის თანახმად.

15. გარანტია

მფლობელი არის გარანტი იმისა, რომ თორმეტი (12) თვის მანძილზე პროგრამის და დოკუმენტაციის მიწოდების დღიდან, სწორად დაინსტალირების და ლიცენზიატის კომპიუტერის შესაბამისი პარამეტრებისა და შესაძლებლობების არსებობის, ასევე დოკუმეტაციის ჯეროვნად ოპერირების შემთხვევაში, პროგრამა იმუშავებს აღწერილობის შესაბამისად. გარდა ზემოთ ხსენებული კონკრეტულად ჩამოყალიბებული გარანტიისა არ არსებობს პიდაპირ გამოხატული ან ნაგულისხმევი სხვა გარანტია, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება

რაიმე სახის ნაგულისმევი გარანტიით ვარგისიანობის ან განსაკუთრებული მიზნების შესაბამისობის თაობაზე. მფლობელი არ არის პასუხისმგებელი პროგრამის (და მისი თანმხლები მონაცემთა ბაზების) ფუნქციონირებაზე შეცდომების გარეშე, პროგრამის ვარგისიანობაზე ბუნებრივი კატასტროფების საფრთხეების წინააღმდეგ ზომებისა და გადაწყვეტილებების მისაღებად, სეისმური უსაფრთხოების ტექნიკისათვის და მის ფუნქციონირებაზე ხარვეზების გარეშე ყველა სპეციფიკური დანიშნულებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ მფლობელმა პროგრამაში შესწორებების შეტანა ვერ მოახერხა გონივრულ ვადაში (ოცდაათი დღე), ლიცენზიატს შეუძლია დააბრუნოს პროგრამა და დოკუმენტაცია და დაიბრუნოს გადახდილი წლიური სალიცენზიო საფასურის თანხა. ლიცენზიატმა ნებისმიერი საგარანტიო პრეტენზიის შესახებ, ამ პუნქტის გათვალისწინებით, წერილობით უნდა აცნობოს მფლობელს ათი (10) დღის განმავლობაში გარანტიის გასვლამდე. აქ მითითებული დამცავი ზომები არის განსაკუთრებული და ექსკლუზიური საშუალება ლიცენზიატისათვის. სხვა შემთხვევებში მფლობელი არ არის პასუხისმგებელი რაიმე განსაკუთრებულ, ირიბ, შედეგობრივ ან სხვა სახის ზარალზე; ყველა შემთხვევაში მფლობელის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება სალიცენზიო საფასურით, რომელიც გადახდილია ამ შეთანხმების შესაბამისად.

16. ტექნიკური მომსახურება

მფლობელის მიერ ტექნიკური მომსახურება მოიცავს შემდეგს:

ა) კოდების კორექცია და დაფიქსირება, რომლებიც საჭიროა შეცდომებისა და პროგრამის არასწორი ფუნქციონირების აღმოსაფხვრელად.

ბ) პროგრამის განახლება, რაც ნიშნავს პროგრამის ან მისი მონაცემთა ბაზის მოდიფიკაციას იმისათვის, რომ კალკულაციები გახდეს უფრო ზუსტი და/ან ეფექტური, მაგრამ არ შეიცვალოს პროგრამის ძირითადი ფუნქცია. ეს ფაქტი არ მოიცავს პროგრამის მოდიფიკაციას გეოგრაფიული ტერიტორიებისთვის, გარდა იმ ადგილებისა, რომლებისთვისაც პირველ რიგში გაიცა ლიცენზია.

გ) დოკუმენტაციის განახლება, რაც ნიშნავს ცვლილებებს დოკუმენტაციაში მისი სრულყოფილების, წასაკითხად ან გასაგებად გაადვილების მიზნით.

დ) პროგრამის ახალი ვერსიით შეცვლა, რაც მოიცავს პროგრამის გაუმჯობესებას, გაფართოებას, ან სხვა ცვლილებას, რომლებიც მფლობელის აზრით არის პროგრამის ორიგინალი ვერსიის ლოგიკური გაუმჯობესება.

ე) ტექნიკური უზრუნველყოფა, რაც მოიცავს გონივრული ოდენობის სატელეფონო ან წერილობით დახმარებას (*5 ოპერატორი-სთ* -მდე) მიღების პერიოდის განმავლობაში, თუ ლიცენზიატს შეხვდება სიძნელეები პროგრამის გამოყენების ან დოკუმენტაციის გაცნობის დროს. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა მიღებულია, მფლობელი და ლიცენზიატი უნდა შეთანხმდნენ ტექნიკური უზრუნველყოფის გონივრულ ოდენობაზე მიღების პერიოდის გასვლის შემდეგ.

17. ტექნიკური უზრუნველყოფა

პროგრამის ტექნიკური უზრუნველყოფა იმ ლიმიტის ზემოთ, რაც გათვალისწინებულია ზემოთ ხსენებული „ტექნიკური მომსახურების" პუნქტით (მაგ. ადგილზე დახმარება ლიცენზიატის ოფისში, ან იმ ხანგრძლივობაზე მეტი

დახმარების მოთხოვნა, რაც აჭარბებს ამ პუნქტით გათვალისწინებულ ოდენობას) უნდა შესრულდეს მფლობელის მიერ მისი საკონსულტაციო პირობების თანახმად და ლიცენზიატის მიერ ასეთი დახმარების თხოვნის შესაბამისად. ეს ასევე ეხება ლიცენზიატის მიერ მოთხოვნილ, პროგრამის რიგით ან რიგგარეშე მოდიფიცირებას.

18. პროგრამის მომავალი მოდიფიკაციის და გაუმჯობესების უფლება

იმ შემთხვევაში, თუ მფლობელი მოახდენს პროგრამის მოდიფიკაციას ან გაუმჯობესებას იმ დონეზე, რაც გათვალისწინებული არ არის „ტექნიკური მომსახურების" პუნქტით, ლიცენზიატს უფლება აქვს მიიღოს ასეთი მოდიფიცირებული ან გაუმჯობესებული ვერსია იმ მინიმალური თანხის გადახდით, ა) რასაც მფლობელი დააწესებს მოდიფიცირებული/გაუმჯობესებული ვერსიისათვის წლიურ სალიცენზიო საფასურად, ან ბ) რასაც შეადგენს განსხვავება მფლობელის მიერ შემდგომში მოდიფიცირებული/გაუმჯობესებული ვერსიის მიმდინარე ფასსა და ამ შეთანხმების გათვალისწინებით გადახდილ წლიურ სალიცენზიო საფასურს შორის.

19. უფლების გადაცემა

უფლება ამ ხელშეკრულებაზე, პროგრამის ოპრირების ლიცენზიაზე, და მფლობელისა და ლიცენზიატის უფლებები და მოვალეობები ამ შეთანხმების თანახმად არ შეიძლება გასხვისდეს, ან რაიმე სახით გადაეცეს სხვას, ან უგულებელ იყოს მთლიანად ან ნაწილობრივ, კანონის მოქმედების ჩათვლით, არც ერთი მხარის მიერ, თუ მას არ გააჩნია მეორე მხარის წერილობითი თანხმობა. ლიცენზიატს არ შეუძლია მოახდინოს ლიცენზიის სუბლიცენზირება. ამასთან, მფლობელსა და ლიცენზიატს უფლება აქვთ გადასცენ ეს ხელშრკრულება მათ მემკვიდრე ორგანიზაციას, რომელიც კანონიერად მოიპოვებს ამ მხარის საკუთრების უფლებას მთლიანად, ან მის უმეტესობას. ასეთ შემთხვევაში ამ მხარის ყველა უფლება და მოვალეობა გადაეცემა მის მემკვიდრე ორგანიზაციას.

20. დებულების გაბათილება

თუ ამ შეთანხმების რომელიმე დებულება სასამართლოს ან კანონის მიერ გამოცხადდა უმოქმედოდ, უკანონოდ, ან განუხორციელებლად, ასეთი დებულება უნდა გამოაკლდეს ამ ხელშეკრულებას, ხოლო დანარჩენი დებულებები დარჩეს ძალაში.

21. მოქმედი კანონები

გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც რეგულირდება ა.შ.შ.-ს ფედერალური კანონის მიერ (მაგ. საავტორო უფლება, გაბანკროტება), ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხები უნდა დარეგულირდეს და განიხილებოდეს კოლორადოს შტატის კანონების მიხედვით. ორივე მხარე თანხმდება, რომ ნებისმიერი უთანხმოება ამ ხელშეკრულების ფარგლებში უნდა გადაწყდეს კოლორადოს შტატის ფედერალურ ან სახელმწიფო სასამართლოში.

22. ხელშეკრულების ერთიანობა

ეს ხელშეკრულება წარმოადგენს მფლობელისა და ლიცენზიატის უფლებებისა და მოვალეობების სრულ და ექსკლუზიურ ფორმულირებას პროგრამასა და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით. ეს ხელშეკრულება ითავსებს ყველა სახის ზეპირ და წერილობით წინასწარ კონსულტაციას, კომუნიკაციასა და შეთანხმებას მხარეებს შორის. ამ ხელშეკრულების ფარგლებში ვადებისა და პირობების, ასევე ყველა შეკვეთის (შეძენის) ვადებისა და პირობების შესახებ ნებისმიერი უთანხმოება უნდა დარეგულირდეს ამ ხელშეკრულების ვადებისა და პირობების პუნქტის დებულებებით. არ შეიძლება ამ ხელშეკრულების მოდიფიცირება ან შეცვლა, გარდა ორივე მხარის მიერ წერილობით განხორციელებული

ცვლილებების შემთხვევისა, როდესაც ასეთი სახის ცვლილება ხდება ამ ხელშეკრულების ნაწილი ცვლილების ძალაში შესვლის დღიდან.

23. უფლებაზე უარის თქმა

ამ ხელშეკრულების თანახმად რომელიმე მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების გამოუყენებლობა ცალკეულ შემთხვევებში არ ნიშნავს მისი მხრიდან ამ უფლებაზე უარის თქმას მომავალში.

24. ხელშეკრულების ინტერპრეტაცია

ამ ხელშეკრულების პუნქტების სხვადასხვა სათაურები ემსახურება მხოლოდ იდენტიფიცირებასა და ორიენტირებას, და მათი გამოყენება არ შეიძლება ამ ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის.

25. იძულებითი შეფერხება

თუ მფლობელს მოუხდა შეფერხება მოვალეობის შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ფარგლებში რაიმე მიზეზის გამო, რომელიც არ ექვემდებარება მის გონივრულ კონტროლს, ასეთი შეფერხება უნდა აღმოიფხვრას მის შემდგომ პერიოდში და მისი აღმოფხვრის პერიოდი უნდა გაგრძელდეს საჭიროებისამებრ, სანამ მფლობელი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, მას შემდეგ, როდესაც ის აღმოფხვრის შეფერხების მიზეზებს.

26. სასამართლოს გადასახადები

თუ რაიმე სახის უთანხმოება ამ ხელშეკრულების ფარგლებში განიხილება სასამართლოში, მოგებულ მხარეს უფლება აქვს აინაზღაუროს გონივრული სასამართლო გადასახადის საფასური სხვა კომპენსაციებთან ერთად, რომლის უფლებაც მას მიენიჭება.

27. შენიშვნა

ამ ხელშეკრულების ფარგლებში რაიმე შენიშვნის არსებობის შემთხვევაში ის წერილობითი ფორმით უნდა გაიგზავნოს ა) რეგისტრირებული ან დამოწმებული, ან მიღების დამადასტურებელი ცნობის მქონე საფოსტო გზავნილის სახით (ამ შემთხვევაში „მოქმედების დრო" არის გზავნილის მიღების დადასტურების თარიღი), ან ბ) ტელეფაქსით, რომელსაც მოყვება საჰაერო ფოსტით გაგზავნილი ასლი, იმ პირობით, რომ დოკუმენტის მიღება სიტყვიერად დადასტურდება მიმღები მხარის მიერ და პირი, რომელიც ადასტურებს ამ შენიშვნას, მოხსენებულია ორიგინალ დოკუმენტში დადასტურების თარიღისა და დროის გასწვრივ (ამ შემთხვევაში „მოქმედების დრო" არის გზავნილის დადასტურების თარიღი).

ამ ხელშეკრულების ფარგლებში შენიშვნა უნდა გაიგზავნოს ქვემოთ ჩამოთვლილი პირებისათვის და ქვემოთ აღნიშნულ მისამართებზე, სანამ ისინი წერილობითი ფორმით არ შეიცვლება ორივე მხარის მიერ. „ხელშეკრულებისმიერ საკონტაქტო პირს" უნდა მიეწოდოს ყველა შენიშვნა, რომელიც ეხება ამ ხელშეკრულებას. „ტექნიკურ საკონტაქტო პირს" უნდა მიეწოდოს ყველა შენიშვნა, რომელიც ეხება ტექნიკურ მომსახურებასა და პროგრამასთან და დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ ტექნიკურ ცვლილებებს.

ლიცენზიის მიმღები პირები

ტექნიკური საკონტაქტო პირი

დოქ. ნინო წერეთელი

სახელი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი

დაწესებულების დასახელება

მ. ალექსიძის ქუჩა, 1, 0171

მისამართი

თბილისი, საქართველო

ქალაქი, ქვეყანა

995 32 335513

ტელეფონის ნომერი

ხელშეკრულებისმიერი საკონტაქტო პირი

დავით ჩომახიძე

სახელი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დაწესებულების დასახელება

ჭავჭავაძის გამზირი 1, 0128

მისამართი

თბილისი, საქართველო

ქალაქი, ქვეყანა

ტელეფონის ნომერი

მფლობელთა წარმომადგენლები

ტექნიკური საკონტაქტო პირი

რიჩარდ ლ. დობსი II
ფუგრო კონსულტანტინგ ინს.
1777 ბოტელდო დრაივ,შუიტე 262
ვოლნატ გრიკ, კალიფორნია 94596
აშშ (925) 949-7102

ხელშეკრულებისმიერი საკონტაქტო პირი

ანდრიუ ნილ
ფუგრო კონსულტანტინგ ინს.
1777 ბოტელდო დრაივ,შუიტე 262
ვოლნატ გრიკ, კალიფორნია 94596 აშშ (925) 949-7139

რის დასტურადაც მხარეებმა, შემდგომში როგორც მფლობელმა და ლიცენზიატმა, დადეს ეს შეთანხმება, რომელიც ძალაშია ზემოთ აღნიშნული თარიღიდან.

ლიცენზიატი:

პირი: დავით ჩომახიძე----------

თანამდებობა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

მისამართი:-- ჭავჭავაძის გამზირი 1, 0128. თბილისი საქართველო

თარიღი: 30.12.2015

მფლობელი:

პირი: ანდრიუ ნილ

თანამდებობა: მანეჯერი

მისამართი: 1777 ბოტელდო დრაივ, შუიტე 262. ვოლნატ გრიკ, კალიფორნია 94596, აშშ

თარიღი: ----------

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

30 დეკემბერი 2015 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან ფუგრო კონსულტანტ ინს. კალიფორნია

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი — დ. ჩომახიძე

თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი — ნ.საღარეიშვილი

თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი — ა. კუკულავა

შესყიდვების განყოფილების უფროსი — ს. სანაძე

შესყიდვების მთ. სპეციალისტი — ლ.კოპალეიშვილი